



# შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია რექტორის 2016 წლის 12 ნოემბრის  
ბრძანება N 70*

**სტუდენტური სერვის ცენტრის დებულება**

## 2016 წელი

### მუხლი 1. სტუდენტური სერვის ცენტრი

1. სტუდენტური სერვის ცენტრი (ტექსტში შემდგომ - ცენტრი) არის შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) დამხმარე სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების ხელშეწყობას.

2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

### მუხლი 2. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრი შედგება ცენტრის ხელმძღვანელისა და მოსამსახურეებისაგან.

2. ცენტრის საქმიანობას წარმართავს ცენტრის ხელმძღვანელი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებით. ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის დავალებით, ცენტრის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს ერთ-ერთი მოსამსახურე.

3. ცენტრის მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების წესები განისაზღვრება ამ დებულებით და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

### მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები და ამოცანები

1. ცენტრი დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესთან და სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმირებას;

ბ) სოციალურად მონყვლადი სტუდენტების მხარდაჭერას, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

გ) სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საკონულტაციო მომსახურების უზრუნველყოფას;

დ) უცხოელი სტუდენტების მოზიდვასა და მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავებას;

ე) უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას;

ვ) სხვა, სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, გაანალიზებას და რეკომენდაციების შემუშავებას;

ზ) მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ცენტრის სხვა ფუნქციების განხორციელებას.

2. თავისი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ცენტრი:

ა) ატარებს საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს სტუდენტებთან სასწავლო პროცესთან და სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ბ) ახორციელებს სხვადასხვა მხარდამჭერ პროექტებს ფინანსური კუთხით, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

გ) ორგანიზებას უწევს საკონსულტაციო შეხვედრებს;

დ) სწავლის დაწყებისთანავე აწოდებს სტუდენტებს ინფორმაციას არსებული კონსულტაციებისა და დახმარების შესახებ;

ე) უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას სხვადასხვა ღონისძიებებისა თუ პროექტების შესახებ. ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

ვ) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კოორდინირებით უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ.

ზ) მჭიდროდ თანამშრომლობს სასწავლო უნივერსიტეტის კარიერის ცენტრთან.

#### **მუხლი 4. ცენტრის მართვა**

1. ცენტრს წარმართავს ხელმძღვანელი.

2. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს ცენტრის საქმიანობას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) აწვდილობს ფუნქციებს ცენტრის მოსამსახურეთა შორის;

გ) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებებს ცენტრის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა შვებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

დ) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს;

ე) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ცენტრის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს ცენტრის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

8) ანგარიშვალდებულთა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

3. ცენტრის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

4. ცენტრის ხელმძღვანელის არყოფნისა ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს გადანაცვებით მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ერთ-ერთი მოსამსახურე.

### **მუხლი 5. ცენტრის პერსონალი**

1. ცენტრის პერსონალი შედგება მოხელეებისაგან, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით.

2. ცენტრის მოსამსახურეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

3. ცენტრის მოსამსახურეები:

ა) ცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენენ თავიანთ საქმიანობის შესახებ ანგარიშს;

ბ) საკუთარი მოვალეობების შესრულებისას ხელს აწერენ მომზადებულ დოკუმენტაციას, იძლევიან სათანადო დასკვნებს, შეისწავლიან და წარმოადგენენ წინადადებებს, პროექტებს და სხვა შესაბამის დოკუმენტაციას მათზე დაკისრებული მოვალეობებისა და ცალკეული დავალებების ფარგლებში.

გ) ასრულებენ ამ დებულებით, შინაგანაწესით, სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების და ცენტრის ხელმძღვანელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებსა და ცალკეულ დავალებებს.

### **მუხლი 6. ცენტრის ქონება, ფინანსები და საქმიანობის კონტროლი**

1. ცენტრის მთელი ქონება წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებას.

2. სამსახურისათვის გადაცემული ქონების საკითხები რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ცენტრის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი.